განკარგულება:**g-47.47212425**
თარიღი:**30/08/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N40

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემოერკეთში მდებარე 28.12.21.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N 1 შენობის პირველ სართულზე არსებული N 6 არასაცხოვრებელი ფართი (28.82 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1.მიეცეს თანხმობა მუნიციპლიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემოერკეთში მდებარე 28.12.21.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობის პირველ სართულზე არსებული N6 არასაცხოვრებელი ფართის (28.82 კვ.მ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით (იჯარა) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე;

2. უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 555 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 10 წლით;

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი